

Student
Journal of
Social **S**ciences

სტუდენტთა ჟურნალი
სოციალურ მეცნიერებებში
№26, თებერვალი, 2024



ქართული ლიტერატურული პერიოდიკა საბჭოურ ლინგვისტურ ლანდშაფტში - მეოცე
საუკუნის 20-იანი წლების ჟურნალ „მნათობის“ მაგალითზე

ხატია ვარდია

მედიის კვლევების მაგისტრი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: khatiavardia@gmail.com

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომის მიზანია საქართველოში გამოძვალაი პოპულარული და დღევრძელი სამხატვრო-სალიტერატურო, სამეცნიერო უურნალის - „მნათობის“ ადგილის განსაზღვრა საბჭოთა ლინგვისტურ ლანდშაფტში. უურნალმა „მნათობმა“ თავისი არსებობის მანძილზე არაერთი რეჟიმი გამოიცვალა. ჩვენ გვანტერესებს პერიოდი, როცა ქვეყანაში საბჭოთა ტოტალიტარიზმი მძვინვარებდა. კვლევის ამოცანად დავისახეთ გამოგვეყო ის ძირითადი სპეციფიკური ნიშნები, რითიც 1924 - 1929 წლებში ხასიათდებოდა უურნალის ენა, პასუხები გავვეცა შემდეგ კითხვებზე - ახერხებდა თუ არა უურნალი საბჭოთა ლინგვისტური ჩარჩოებიდან თავის დაღწევას, საბჭოთა ენობრივი კლიშეებიდან გადახვევას. რამდენად ორიგინალური იყო ის ენა, რომლითაც უურნალი „მნათობი“ ამბობდა სათქმელს და საბჭოთა წნეხის მიუხედავად, ახერხებდა თუ არა პროლეტკულტელთა იდეოლოგიისგან განსხვავებული მოსაზრებების დაბეჭდვას.

ნაშრომში შესწავლილია უურნალის 1924-1929 წლების ყველა ნომრის (50 ნომერი) პუბლიცისტური, კრიტიკული წერილები. გამოყოფილია ის ძირითადი მახასიათებლები, რაც შეინიშნებოდა პუბლიცისტური წერილების შინაარსში. გაანალიზებულია, რამდენად ხელეწიფებოდა „მნათობს“ განსხვავებული მოსაზრების დაფიქსირება და რა ხერხებს მიმართავდა საამისოდ.

ჩვენი საკვლევი პერიოდი ემთხვევა საქართველოს გასაბჭოების პირველ წლებს, რაც დამატებით მნიშვნელობას სძენს საკვალთიფიკაციო ნაშრომს, რომელშიც ნათლად აისახა იმ დროს არსებული მძიმე რეალობა. გარდა ამისა, ამ პერიოდის გამოცემები ნაკლებადაა შესწავლილი, მათ შორის, არც უურნალი „მნათობია“ ნაკვლევი, რაც კვლევას კიდევ უფრო მეტ აქტუალობას ანიჭებს.

დასახული მიზნის განსახორციელებლად შევარჩიეთ რელევანტური მეთოდოლოგია: კვლევის მეთოდად გამოვიყენეთ თვისებრივი კონტენტ-ანალიზი, ხოლო თეორიულ ჩარჩოდ - „პრესის ოთხი თეორიიდან“ ერთ-ერთი - „საბჭოთა კომუნისტური კონცეფცია“, რომელიც ზუსტად ესადაგება საკვლევ თემატიკას. მდიდარი მასალის შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე პასუხი გავვეცით ყველა საკვლევ კითხვას, გამოვიტანეთ შესაბამისი დასკვნები და მიგნებები.

საკვანძო სიტყვები: იდეოლოგიზებული სიტყვები, საბჭოთა ლინგვისტიკა, საბჭოთა პროპაგანდა, საბჭოური ენა

შესავალი

მედია მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში. იგი გვევლინება მძლავრ პროპაგანდისტად, რომელზეც დამოკიდებულია ადამიანთა განწყობების, მათი რწმენა-წარმოდგენების ფორმირება რიგ საკითხებთან დაკავშირებით. წარსულის შესწავლა, მისი გადააზრება თანამედროვე კონტექსტში მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც წარსულის გამოცდილებამ შექმნა დღევანდელი სურათი.

ჩვენი კვლევის ობიექტი - უურნალი „მნათობი“, საკვლევი თემა და პერიოდი ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს ისტორიაში. ამ პერიოდში საქართველომ 1918 წელს მიღებული დამოუკიდებლობა და თავისუფლება არასრული სამი წლის შემდეგ, 1921 წლის 25 თებერვალს, დაკარგა და მოექცა საბჭოთა გავლენების, მისი მარწუხების ქვეშ.

ბოლშევიკური პარტია ყველა ზომას მიმართავდა, რომ განსხვავებული აზრი ჩაეხშო და შეექმნა „საბჭოთა ადამიანი“, რომელიც იქნებოდა წარსულის რწმენა-წარმოდგენებისგან დაცლილი, რომლისთვისაც უპირველესი იყო კომუნისტური პარტია და კომუნისტები. რასაკვირველია, კომუნისტებს არ სურდათ, რომ საბჭოთა კავშირში შემავალ ერებს ეროვნული თვითშეგნება ჰქონოდათ, ამიტომ უპირისპირდებოდნენ ყველას და ყველაფერს, რასაც ხალხში ეროვნული სულისკვეთების გაღვიძება შეეძლო. ამის გამო მუდმივად აკრიტიკებდნენ პირველი რესპუბლიკის მთავრობას, სდევნიდნენ მენშევიკებს, ეროვნულ-დემოკრატებს, სოციალისტ-ფედერალისტებს, სოციალისტ-რევოლუციონერებს და ა.შ.

ბოლშევიკები მიმართავდნენ ანტირელიგიურ პროპაგანდას, რადგან მორწმუნე ადამიანის მართვა რთული იყო, ამიტომ ცდილობდნენ მათი გონებიდან წაეშალათ წარსულის რწმენა-წარმოდგენები და ღმერთი ლენინით, ხოლო ბიბლია მარქსიზმ-ლენინიზმით ჩაენაცვლებინათ. ქრისტიანული სამყაროსთვის წმინდა ქალაქი- იერუსალიმი კი მოსკოვმა ჩაანაცვლა (ბაქრაძე, 2019). რუსეთი გახდა ყველაფრის საზომი, საბჭოთა კავშირი გარუსების პოლიტიკას აწარმოებდა. ამკვიდრებდა ენაში იდეოლოგიზებულ სიტყვებს - კლიშეებს და ამით მათ მნიშვნელობას უცვლიდა.

ამგვარ ვითარებაში, როცა საბჭოთა იდეოლოგია ყველაფერს აკონტროლებდა, განსაკუთრებით რთული იყო უურნალ-გაზეთებისთვის და ზოგადად, პუბლიცისტებისთვის, რომ განსხვავებული მოსაზრებები დაეწერათ. ზოგიერთი მათგანი, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, საკუთარი სურვილით ჩაება კომუნიზმის პროპაგანდის საქმეში.

აღსანიშნავია, რომ უურნალი „მნათობი“ დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში „შეიდი მნათობის“ სახელით გამოდიოდა, 1924 წლიდან მისი გამოცემა აღდგა. ამგვარ ვითარებაში, ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გამოვარკვიოთ უურნალ „მნათობის“ ადგილი და როლი საბჭოთა საქართველოში. გამოვიკვლიოთ, რამდენად ახერხებდა უურნალი, რომ განსხვავებული მოსაზრებები დაებეჭდა. ის ლინგვისტური ლანდშაფტი, რომელიც საბჭოთა კავშირში არსებობდა და რომლითაც საბჭოთა ხელისუფლება ესაუბრებოდა ქართველ ხალხს, აისახა თუ არა უურნალ „მნათობის“ პუბლიკაციებში. რამდენად ორიგინალური იყო ის ენა, რომლითაც იგი მკითხველს ესაუბრებოდა. ამ პერიოდის უურნალი „მნათობი“ აქამდე ნაკვლევი არ არის, მასალათა სიღრმისეული ანალიზი და მათზე დაკვირვება უკეთ წარმოაჩენს ეპოქის მახასიათებლებს და იმას, თუ რამდენად აისახა უურნალში საბჭოური ლინგვისტიკა.

ლიტერატურის მიმოხილვა

საბჭოთა სისტემა არაერთ ხერხს მიმართავდა იმისთვის, რომ ენაში იდეოლოგიზებული სიტყვები - ე.წ. კლიშეები დაემკვიდრებინა და გაემყარებინა. მან ამ მისიას, შეიძლება ითქვას, რომ კარგადაც გაართვა თავი. იდეოლოგიურად დატვირთული სიტყვა, გვინდა თუ არა, ადამიანთა გონებაში მარტივად ამოატივტივებს იმ ეპოქას, რომელშიც მან სიმბოლური დატვირთვა შეიძინა.

იდეოლოგიზებული ენის ძირითადი მიზანი ისაა, რომ მან სიტყვას მნიშვნელობა შეუცვალოს და მიანიჭოს შინაარსობრივად სრულიად განსხვავებული, ყალბი მნიშვნელობა. მერაბ მამარდაშვილი თავის ერთ-ერთ ინტერვიუში სწორედ ენის იდეოლოგიზების, მისი გასაბჭოების საკითხს, სისტემის მიერ სიტყვების განსხვავებული მნიშვნელობით დამკვიდრების პრობლემას ეხება. ფილოსოფოსი ადამიანის სრულქმნისთვის ყველაზე მნიშვნელოვან როლს სწორედ სიტყვას ანიჭებს, ხოლო იმ სამყაროში, სადაც მარქსიზმ-ლენინიზმს ასწავლიან, ადამიანი ვერ განვითარდება, რადგან სიტყვების გაშინაარსება, გააზრება შეუძლებელია, ისინი უბრალოდ უნდა დაიმეპირო (მამარდაშვილი, 1992, გვ. 11).

ფილოსოფოსის დაკვირვებით, საბჭოთა კავშირში დამკვიდრებული იყო ისეთი ლინგვისტური ლანდშაფტი, რომელიც გამორიცხავდა აზროვნების შესაძლებლობას, ეს კი მიმზიდველს ხდიდა მას, რადგან „ტოტალიტარული აზროვნების სიმარტივე“ სწორედ ისაა, რომ ზედმეტი ფიქრისა და განსჯის გარეშე მიაღწიო „წარმატებას“ (იქვე).

ამავე თემაზე საუბრობს მანანა ტაბიძე უუნარო „სპეკალში“ (ტაბიძე, 2012). იგი საბჭოთა კავშირში არსებულ ორ ძირითად - ღია და ფარულ - ენობრივი დაგეგმვის საშუალებაზე ამახვილებს ყურადღებას. ავტორის მტკიცებით, ორივე მათგანს ერთი ფუნქცია ჰქონდა - შეექმნა „საბჭოთა ხალხი“, დაემკვიდრებინა რუსულ-ნაციონალური ბილინგვიზმი და გაერუსულებინა ეროვნული ენები. იკრძალებოდა ყველა ის სიტყვა, რომელიც ეროვნულობაზე მიანიშნებდა, მაგალითად, საქართველო, ქართველი ერი და სხვ. ცენზურა ასევე ებრძოდა სიმბოლოებს: დროშას, გერბს, ჰიმნს, ენას, ისტორიას და ა.შ.

აღნიშნულ ნაშრომში ვკითხულობთ, რომ იდეოლოგია, აკრძალვების პარალელურად, ცდილობდა ენაში იდეოლოგიზებული სიტყვები და გამოთქმები დაემკვიდრებინა. სწორედ პარტიის დაკვეთით დამკვიდრდა კლიშეები: „საბჭოთა ქალი“, „საბჭოთა ადამიანი“, „საბჭოთა მწერალი“, „მეორე დედაენა“, „პარტიული სიტყვა“, „დიდი რუსი ხალხი“, „სოციალისტური რეალიზმი“, „უფროსი ძმა“ და კიდევ არაერთი სხვა.

რასაკვირველია, მას არ სურდა ქვეყანაში ისეთი ჯგუფების არსებობა, რომელთაც შეეძლოთ ქართველ ხალხში ეროვნული სულისკვეთება გაეღვიძებინათ. საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა, რომ ქვეყნის შიგნით შუღლი და მტრობა დაეთესა - ეს მისი პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი იყო.

იმისთვის, რომ კომუნისტურ პარტიას თავისი იდეოლოგიური დოგმები დაემყარებინა, პირველ რიგში, აუცილებელი იყო ადამიანთა გონებიდან წარსულის შეხედულებები წაეშალა. ამ მიზნით, პარტიამ სასტიკი ანტირელიგიური პროპაგანდა წამოიწყო, რათა ადამიანის სულიერ სამყაროში

შესაძლებელია კონკურენტი ჩამოემორებინა. საბჭოთა სისტემამ მიზნად დაისახა, რომ შეექმნა „ახალი ადამიანი“, რომელიც პარტიის ინტერესების გათვალისწინებით იმოქმედებდა.

აკაკი ბაქრაძის მიხედვით, კომუნისტური „ახალი ადამიანი“ არის ის, ვინც მარქსიზმ-ლენინიზმის მიმდევარი და „კოლექტივის მოჭამაგირეა“, შეუძლია დაუფიქრებლად გახდეს მკვლელი, მძარცველი, დაკარგოს სინდისი, თუკი კოლექტივი მისგან ამას მოითხოვს. მას არ აქვს უფლება, გამოავლინოს ადამიანების მიმართ სიყვარული, გამონაკლისი მხოლოდ პროლეტარიატია (ბაქრაძე, 2019, გვ. 262).

პარტიამ მარქსიზმის ქადაგება დაიწყო, ეკლესია პარტიამ ჩანაცვლა, ღმერთი კი ბელადმა, საეკლესიო იერარქია კი კომუნისტურ რელიგიას გაუთანაბრდა (იქვე, გვ.129-139).

საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებული სისასტიკით მართლმადიდებელ ეკლესიას ებრძოდა, სწორედ მასში ხედავდა ძლიერ მონინაალმდეგეს. სანყის ეტაპზე ხელისუფლება შედარებით ლოიალური იყო სხვა რელიგიის წარმომადგენლების მიმართ, თუმცა, დამოკიდებულება 20-იანი წლების ბოლოდან შეიცვალა, ახლა მთავარი სამიზნე მუსლიმები გახდნენ, რაც ნოდარ პაპუაშვილის მოსაზრებით, მუსლიმი ქვეყნების ფაშისტურ გაერთიანებაში ყოფნით იყო გამოწვეული (პაპუაშვილი, 2018).

საბჭოთა კავშირი საფრთხეს ხედავდა მწერლობაშიც, რადგან კარგად ესმოდა, რომ მას შეეძლო რეჟიმისთვის ძლიერი წინააღმდეგობა გაენია, ამიტომაც ყველა ხერხს მიმართავდა, რომ მწერლობის ხმა ჩაეხშო, მისკენ გადმოებირებინა, ან საერთოდ აეკრძალა წერა. აკაკი ბაქრაძე წიგნში „მწერლობის მოთვინიერება“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირში მწერალს არ სჭირდებოდა არც ნიჭი და არც აზროვნება იმისთვის, რომ რაიმე „ღირებული“ შეექმნა. საბჭოთა მწერალი იყო პროპაგანდისტი, რომელსაც რასაც ჩასძახებდნენ, იმას ამოსძახებდა. მწერლებს პირდაპირ უთითებდნენ, რომ გეგმა ჰქონდათ შესასრულებელი. საბჭოთა ხელისუფლება მარნუხებში აქცევდა თანადროულობის ყველა იმ მწერალს, ვინც ხოტბას არ ასხამდა საბჭოთა იდეოლოგიას. იგი დამინებებისა და რეპრესიების ფონზე, მიუთითებდა მწერლებს, რომ „უპარტო მწერლებს საბჭოთა კავშირში მომავალი არ აქვთ“, დღევანდელი გადმოსახედიდან კი, აკაკი ბაქრაძის მტკიცებით, „უპარტო მწერლად“ ბოლშევიკები ნამდვილ მწერლებს მიიჩნევდნენ (ბაქრაძე, 2019, გვ. 43-58).

კომპარტიის მიზანი იყო, მოესპო ინდივიდუალიზმი და შეექმნა კოლექტიური მეტყველება, ამგვარი შემოქმედება ყველაზე ხშირად გალექსილ მიმართვებში ჩანდა, რომლებიც ურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა.

იმ მიზნის მისაღწევად, რომ ყოველგვარი ეროვნული მოესპო, საბჭოთა ხელისუფლება ყველა ხერხს მიმართავდა. იგი აქტიურად ცდილობდა, რომ საბჭოთა კავშირში რუსული ენა გამოეცხადებინა, როგორც მეორე დედაენა. იგი მუდმივად უსვამდა ხაზს რუსი ერის განსაკუთრებულობას. ურნალ-გაზეთები დიდ ადგილს უთმობდნენ რუსი ერის კულტის პროპაგანდას, ამის პარალელურად კი არ ერიდებოდნენ ბრძოლას ევროპული ფასეულობების წინააღმდეგ.

საბჭოთა მწერლების ბედი, ფაქტობრივად, ოფიციალური კრიტიკის ხელში იყო. თუკი პარტიის ნდობით აღჭურვილი ლიტერატურათმცოდნე „გაუგებარ ნაწარმოებს“ უწოდებდა ნაშრომს, ეს უკვე განაჩენის გამოტანის ტოლფასი იყო, რადგან ამ ნაწარმოებსა და მის ავტორს საბჭოთა კავშირში

მომავალი არ ჰქონდათ. ბოლშევიკები მიჰყვებოდნენ იმ პრინციპს, რომ იდეოლოგიას შეექმნა ლიტერატურა, ხელოვნება და ყველა სხვა დანარჩენი და არა პირიქით. ბოლშევიკების ერთ-ერთი ძირითადი მიგნება იყო მუშების მწერლობაში განვება, რათა ჩართულიყვნენ იდეოლოგიის პროპაგანდის საქმეში (გათრინდაშვილი, 2014).

იდეოლოგიის დამკვიდრების ერთ-ერთი მომგებიანი გზა სწორედ „მწერალთა გაპროლეტარება და პროლეტართა გამწერლება“ იყო (კობიაშვილი, 2019, გვ. 26).

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, რეჟიმი ყველა ხერხით ცდილობდა თავის დამკვიდრებას, არ ერიდებოდა არცერთ გზას, რომ მოწინააღმდეგეთა ხმა ჩაეხშო. იდეოლოგია ამკვიდრებდა საკუთარ ენას, კლიშეებს, დევნიდა ყოველგვარ ეროვნულს და ცდილობდა დაემკვიდრებინა ერთგვაროვანი და უსახო კოლექტიური მეტყველება.

ზემოთ განხილული რელევანტური წყაროების გაცნობისა და საბჭოთა წარსულის დღევანდელი გადმოსახედიდან გააზრების შემდეგ, შეიძლება გამოვყოთ ის რამდენიმე თემატური მახასიათებელი, რომლებსაც საბჭოთა პროპაგანდა თავის დამკვიდრების მიზნით იყენებდა. ესენია:

- ათეისტური რიტორიკა;
- მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდა;
- დამოუკიდებლობის პერიოდის კრიტიკა;
- ეროვნული ღირსების დაგინწყება/შელახვა;
- რუსული შოვინიზმის ქადაგება (გარუსების პოლიტიკა);
- ქვეყნის შიგნით სეპარატიზმის გაღვივება;
- ბრძოლა ევროპული ფასეულობების წინააღმდეგ.

ჟურნალი „მნათობი“

ჩვენ მიერ განსახილველ ჟურნალ „მნათობის“ წინამორბედად 1869 წელს ნიკო ავალიშვილის მიერ დაარსებული „მნათობი“ მიიჩნევა (შამილიშვილი, 2021).

ჟურნალ „მნათობის“ დაარსების აუცილებლობა წარმოშვა ისტორიულმა კონტექსტმა. საჭირო იყო ჟურნალი, რომელიც „საქართველოს მოამბისა“ და „დროების“ გზას გააგრძელებდა და მოსახლეობას უკეთესი მომავლის იმედს ჩაუნერგავდა. ამგვარი ჟურნალის დაარსება კი მოსკოვიდან საქართველოში დაბრუნებულმა ნიკოლოზ ავალიშვილმა (1844-1929) ითავა. მან და ივანე ელიოზიშვილმა ჟურნალ „მნათობის“ გამოცემაზე 1868 წლის იანვარში დაიწყეს ზრუნვა, თუმცა, საქმე გაიწვია და პირველი ნომერი აპრილის თვეში მიწოდდა საზოგადოებას (ძაძამია, 1976).

თავად რედაქტორი, ნიკოლოზ ავალიშვილი ჟურნალის მიმართულების შესახებ ჟურნალის დახურვიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ წერდა: „არავითარი განსაკუთრებული მიმართულება არ არსებობდა მაშინ ქართულ მწერლობაში გარდა პროგრესულისა, ყველა მწერალი

შეძლებისდაგვარად იმას წერდა, რაც საქართველოს გამოფხიზლებისათვის და საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის იყო საჭირო“ (ძაძამია, 1976, გვ. 177).

ურნალი „მნათობი“ მწვავე მატერიალური პრობლემების გამო დაიხურა, ამას შიდასარედაქციო განხეთქილება დაემატა, რომლის სათავეშიც ანტონ ფურცელაძე იდგა, 1872 წელს კი დასრულდა „მნათობის“ 3-წლიანი ისტორია (34 ნომერი 25 წიგნად) (ჯოლოგუა, 2013).

ურნალ „მნათობის“ გამოცემა სხვა სახელწოდებით განახლდა 1919 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. შეიქმნა ურნალი „შვიდი მნათობი“, რომელსაც კაკაბაძეების ურნალის სახელითაც მოიხსენიებდნენ, რადგან მისი შემქნელები ძმები - დავით და სარგი კაკაბაძეები და მათი ბიძაშვილი - პოლიკარპე კაკაბაძე იყვნენ. ურნალის ორი ნომერი გამოვიდა, სოსო სიგუა (2002) წიგნში, „ქართული მოდერნიზმი“, წერს, „ურნალში თითქმის არაფერი დაბეჭდილა ხელისუფლების საქებარი და ბოლშევიკების სალანძღავი“ (სიგუა, 2002, გვ. 416), თუმცა, როგორც ჩანს, ბოლშევიკებს მისი სიმბოლო არ მოეწონათ და არც ის, რომ იგი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში შეიქმნა.

ურნალ „მნათობის“ გამოცემა კვლავ საბჭოთა ხელისუფლების დროს, 1924 წელს განახლდა. იგი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველთვიური გამოცემა და ურნალ „შვიდი მნათობის“ გაგრძელება იყო, თუმცა, ურნალს „მნათობი“ დაერქვა, რადგან საბჭოთა ხელისუფლებისთვის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დაკავშირებული ნებისმიერი სიმბოლო, ცხადია, მიუღებელი იყო.

ურნალი ოთხ განყოფილებას მოიცავდა: „მეცნიერება და პუბლიცისტიკა“, „მხატვრული ლიტერატურა. საქართველო, რუსეთი, დასავლეთი“, „კრიტიკა, მხატვრობა და მემუარები“ და „ბიბლიოგრაფია“. ახალი „მნათობის“ პირველი რედაქტორი ლიტერატორი ვალია ბახტაძე იყო (შამილიშვილი, 2021).

ურნალი ყოველთვიურად გამოდიოდა და იგი სამხატვრო, სამეცნიერო და სალიტერატურო პროფილის გახლდათ. ურნალის პირველივე ნომერს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ფრაზა - „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“, რაც თავისთავად ამბობს, თუ როგორი პოლიტიკური იდეოლოგიის გამტარებელია ურნალი. წერილში „რედაქციისგან“ ვკითხულობთ, რომ ურნალი მარქსისტული იდეოლოგიის დანერგვასა და გავრცელებას შეუწყობს ხელს, ასევე, ღია იქნება თანადროულობის მწერლებისთვის¹.

„ურნალი „მნათობი“ ერთხანს ფიქტიურად სამთავრო, ფაქტობრივად კი სალიტერატურო პროცესის ობიექტურად ამსახველი პერიოდული ორგანო იყო“ (კუპრეიშვილი, 2020, გვ. 495) .

1946 წლის 14 აგვისტოს დადგენილებით, რეპრესიების მორიგი ახალი და დიდი ტალღა დაიწყო, რასაც ემსხვერპლა ურნალი „მნათობი“, მას ბრალად კომუნისტური იდეებისადმი არასაკმარისი ერთგულება წაუყენეს, რასაც საბოლოოდ გადაჰყვა კიდევ იგი (შამილიშვილი, 2021).

¹ https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/7946/1/Mnatobi_1924_N01.pdf

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შევიმუშავეთ შემდეგი საკვლევო კითხვები, რომლებზე პასუხების გაცემასაც შევეცდებით წინამდებარე ნაშრომში.

საკვლევო კითხვები:

RQ1 - რა შინაარსობრივი მახასიათებლებით ხასიათდება ურნალ „მნათობის“ პუბლიკაციები და რა თემატური სპეციფიკით გამოირჩევა გამოცემა?

RQ2- რამდენად ორიგინალურია ის ენა, რომლითაც ურნალი „მნათობი“ ესაუბრება თავის მკითხველს?

RQ3 - ახერხებს თუ არა ურნალი „მნათობი“ საბჭოთა ლინგვისტური კლიშეებიდან თავის დაღწევას და სასურველი გზავნილების ადრესატამდე მიტანას?

RQ4 - რა მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს იყენებს ურნალი საბჭოთა იდეოლოგიური დატვირთვისგან თავისუფალი მოსაზრებების დემონსტრირებისთვის?

კვლევის ჰიპოთეზები:

RH1 - საკვლევო პერიოდის ურნალი „მნათობი“ გვევლინება საბჭოთა იდეოლოგიის პოპულარიზატორად და ხელს უწყობს მხოლოდ საბჭოთა იდეოლოგიური კლიშეების გავრცელებას.

RH2 - ურნალი „მნათობი“, არსებობის პირველ წლებში, მიუხედავად საბჭოური წნეხისა, მაინც ახერხებს პროლეტკულტელთა იდეოლოგიისგან განსხვავებული მოსაზრებების დაბეჭდვას.

მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდად შევარჩიეთ თვისებრივი კონტენტ-ანალიზის მეთოდი. გავაანალიზეთ ურნალის მრავალრიცხოვანი პუბლიკაცია. ტექსტების შესწავლის შედეგად გამოვყავით მისი ძირითადი მახასიათებლები, კლასიფიკაციის საფუძველზე გამოვკვეთეთ მთავარი თემატური ჯგუფები და ამ კატეგორიების მიხედვით გავაანალიზეთ ურნალ „მნათობში“ გამოქვეყნებული პუბლიკაციები. საკითხის სიღრმისეულად შესწავლისთვის გამოვიყენეთ კონტექსტური ცოდნა - მოვიხმეთ ისტორიული, პოლიტიკური, კულტურული კონტექსტები.

თეორიული ჩარჩო

კვლევის თეორიულ ჩარჩოდ გამოვიყენეთ „პრესის ოთხი თეორიიდან“ ერთ-ერთი - საბჭოთა კომუნისტური მოდელი, რადგან მივიჩნევთ, რომ აღნიშნული კონცეფცია ზუსტად მიესადაგება საკვლევ პერიოდს და კვლევისთვის შერჩეული გამოცემის სარედაქციო პოლიტიკას. ქვემოთ მიმოვიხილავთ მოხმობილი თეორიის არსს, „პრესის ოთხი თეორიის“ შემადგენელი კონცეფციების კონტექსტში.

სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორებმა ფრედ სიბერტმა, უილიამ შრამმა და თეოდორ პეტერსონმა, 1956 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, გამოაქვეყნეს ნაშრომი „პრესის ოთხი

თეორია“, სადაც განიხილავდნენ სახელმწიფოსა და მედიას შორის არსებულ ურთიერთობებს (DeFluer, 1996).

ავტორები მედიის ფუნქციონირების ოთხ მოდელს განასხვავებენ. თითოეული მათგანი განსაზღვრულ სოციალურ სისტემას მიეკუთვნება, ესენია:

- ავტორიტარული მოდელი
- ლიბერტარიანული მოდელი
- სოციალური პასუხისმგებლობის მოდელი
- საბჭოთა კომუნისტური მოდელი

ავტორიტარული მოდელი კარგად ერგება ავტორიტარული მონარქიის მმართველობის მქონე ქვეყნებს, იგი ითვალისწინებს უსიტყვო მორჩილებას ხელისუფლების მიმართ. ავტორიტარული მოდელის მქონე ქვეყნებში მედია სრულად კონტროლდება, იგი დამოკიდებულია იდეოლოგიურ წყობაზე, ხოლო ხელისუფლებისთვის მიუღებელი მასალების გამოქვეყნება სისხლის სამართლის მიხედვით ისჯება. ავტორიტარული მოდელის გაგრძელებად ავტორები საბჭოთა კომუნისტურ მოდელს მიიჩნევენ, რადგან ამ შემთხვევაშიც მკაცრად კონტროლდება მედიის შინაარსი.

ლიბერტარიანული მოდელი ავტორიტარული მოდელისგან სრულიად განსხვავდება, უპირისპირდება მას. იგი თავისუფალ საბაზრო პირობებში მედიის თავისუფლებას გულისხმობს. ლიბერტარიანული მოდელი აძლევს მედიას შესაძლებლობას, რომ აკონტროლოს ხელისუფლება. ამ მოდელის გაგრძელებად ავტორები მიიჩნევენ სოციალური პასუხისმგებლობის მოდელს, რომელიც მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა.

სოციალური პასუხისმგებლობის მოდელის თანახმად, მედია ანგარიშვალდებულია ხალხის წინაშე, იგი ავრცელებს დაზუსტებულ, ობიექტურ და სანდო ინფორმაციას. მასმედია პლურალისტურია და გრძნობს პასუხისმგებლობას ხალხისა და დამქირავებლის წინაშე, ხოლო ხელისუფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ერევა მედიის საქმიანობაში, თუკი ის საფრთხის ქვეშ აყენებს მოსახლეობის ან ქვეყნის უსაფრთხოებას.

ამ მოდელისგან რადიკალურად განსხვავებულია საბჭოთა კომუნისტური მოდელი, ამ უკანასკნელის შემთხვევაში მედიაზე სახელმწიფოს მხრიდან ხორციელდება სრული მონოპოლია, აქ მედია გვევლინება პროპაგანდის მძლავრ იარაღად, რომელსაც ხელისუფლება სათავეს იყენებს. მედია არ წარმოაჩენს განსხვავებულ აზრს და ავრცელებს იმას, რასაც მმართველი პარტია მოისურვებს. საბჭოთა კომუნისტური მოდელის არსებობის პირობებში, მედია საზოგადოებას სახელმწიფოსა და პარტიას წარმოუჩენს ერთ მთლიანობად.

ამ მოდელის არსებობის პირობებში, მედიის საქმიანობა ხორციელდება პარტიული პრინციპების შესაბამისად, სწორედ პარტია განსაზღვრავს ახალი ჟურნალ-გაზეთების, ტელევიზიისა თუ რადიოს შექმნის აუცილებლობას. მედია მკაცრად კონტროლდება ცენზურის მიერ, მას ევალება არა ბაზრის მოთხოვნის გათვალისწინებით მუშაობა, არამედ იდეოლოგიის შესაბამისად (SIEBERT, 1984).

კვლევისას გამოკვეთილი ლინგვისტური მახასიათებლები და ძირითადი ტენდენციები

ჟურნალ „მნათობის“ 1924-1929 წლის ნომრებზე დაკვირვების, მისი პუბლიკაციების გაცნობისა და წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმებით გაანალიზების შემდეგ, გამოიკვეთა შემდეგი სახის ტენდენციები:

ჟურნალი „მნათობი“ ხელს უწყობდა იმ ენობრივი კლიშეების გავრცელებას, რომელთაც საბჭოთა პროპაგანდა წერგავდა. იგი ადგილს უთმობდა იდეოლოგიზებული ეპითეტების ბეჭდვას, ძირითადი აქცენტი ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, საბჭოთა ხელისუფლების პროპაგანდაზე იყო გაკეთებული.

ანტირელიგიური პროპაგანდა

გამომდინარე იქიდან, რომ საბჭოთა ახალი ადამიანის ფორმირება ვერ მოხერხდებოდა, თუკი მისთვის უკვე არსებობდა ღმერთი, კომუნიზმი შეეცადა ჯერ წარსულის რწმენა-წარმოდგენები წაეშალა, ამით საქმე გაემარტივებინა და შემდგომში ახალი რწმენა-წარმოდგენები ჩაენერგა მისთვის. სწორედ ამიტომ წამოიწყო სასტიკი ანტირელიგიური პროპაგანდა მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

ჟურნალი „მნათობი“ რეჟიმს ამ მისიის შესრულებაში დაეხმარა. ჟურნალი 1924 წლის პირველი ნომრიდანვე ბეჭდავდა ანტირელიგიურ წერილებს. მართალია, ცალკე პუბლიკაციები ანტირელიგიური გზავნილების გასავრცელებლად არ იქმნებოდა, თუმცა, იგი შეზრდილი იყო სხვა თემებს და ისე მიეწოდებოდა მკითხველს.

ჟურნალში რელიგიის დასახასიათებლად და აღსაწერად გამოყენებულია შემდგომი ეპითეტები-კლიშეები: „მრავალსაუკუნოვანი ფეტიში“, „სულის მომწამვლელი“, „სულის მომშხამვლელი“ და ა.შ. მაგალითად, ი.გედევანიშვილი მასალაში, „პროლეტარულ ხელოვნების პრობლემა“, წერს, რომ პროლეტარიატმა საკმაოდ მცირე ხნის განმავლობაში, 3-4 წლის მანძილზე, მოახერხა, რომ მრავალი „წარმატებისთვის“ მიეღწია, ამ წარმატებათგან ერთ-ერთი მთავარი კი ისაა, რომ მან შეძლო „მრავალ საუკუნეთა გამეფებული ფეტიში- რელიგია შეერყია“ („მნათობი“, 1924 წ, N1, გვ.146).

რელიგია „მნათობის“ ფურცლებზე გაგებული იყო, როგორც „სულის მომშხამვლელი“, „სულის მომწამვლელი“ „მრავალსაუკუნოვანი ფეტიში“. ამგვარი ეპითეტების დამკვიდრებით, ჟურნალი ხელს უწყობდა რწმენა-წარმოდგენების შეცვლას. იგი მუდმივად აპელირებდა „ახალი ადამიანის“ შექმნის აუცილებლობაზე.

მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდა

ანტირელიგიური პროპაგანდის პარალელურად, ჟურნალი მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდას ეწეოდა, რითიც ეხმარებოდა საბჭოთა ხელისუფლებას, რომ წარსულის რწმენა-წარმოდგენები ამ მოძღვრებით, ღმერთი - ლენინით, ხოლო იერუსალიმი კი მოსკოვით ჩაენაცვლებინა. ჟურნალმა არაერთი პუბლიკაცია დაუთმო ლენინის აპოლოგიას, მის დასახასიათებლად გვხვდება ისეთი ენობრივი კლიშეები, როგორიცაა: „ქვეყნიერების უდიდესი ბელადი“, „დიადთა შორის დიადი“, „დაჩაგრულ ერთა გადამრჩენი“, „ცოცხალი პრომეთეოსი“ და ა.შ.

„მნათობის“ მასალებში კარგად იკითხება ის ენა, რომელიც საბჭოთა იდეოლოგიისთვის იყო დამახასიათებელი, მაგალითად, ფ. მახარაძის ნააზრევში - „რუსეთის რევოლუცია და ლენინი“ - ავტორი ლენინს მოიხსენიებს „პროლეტარ პრომეთეოსად“, რომელმაც გზად ბევრი „ღმერთი“ დაამარცხა, რათა „დაბეჩავებული პროლეტარული კლასი უძლეველ მეხის მტყორცნელ ზევსათ გადაეცია“ („მნათობი“ 1924, N1, გვ.57).

მასალებში მუდმივად გვხვდება ისეთი ეპითეტები, რომლებიც ლენინის კულტის ფორმირებას ემსახურება, მაგალითად, ასეთია: „დაბეჩავებული ერების გადამრჩენი“, „ცოცხალი პრომეთეოსი“, „პოლიტიკური გენია“, „პროლეტარიატის უდიდესი ბელადი“, „ღიადთა შორის ღიადი“, „ჩაგრულთა წინამძღოლი“ და სხვ.

პუბლიკაციებში ავტორები ლენინის განსაკუთრებულობის წარმოჩენას მუდმივად ცდილობენ, მის გონიერებასა და ნიჭს უსვამენ ხაზს, თუმცა, ავტორებს არ ავიწყდებათ მარქსი და მისი მოძღვრება, მუდმივად აპელირებენ მასზე და სწორედ მის დამსახურებად მიაჩნიათ ლენინის ამგვარი „სიღიადე“.

ურნალი 1927 წლიდან, ასევე, იწყებს სტალინის მოხსენებების, მისი შეხედულებების შესახებ ცნობების ბეჭდვას, თუმცა, იგი წარმოჩენილია ლენინის თანამებრძოლად, ძირითადი აქცენტი კეთდება იმაზე, რომ სტალინი სრულად იზიარებს ლენინის ნააზრევს, მის დამოკიდებულებასა და მოსაზრებებს მთელი რიგი საკითხების მიმართ. როგორც აკაკი ბაქრაძე წერს, „არ არის ღმერთი გარდა ლენინისა და სკკპ ცკ გენერალური მდივანია მისი მოციქული“ (ბაქრაძე, 2019, გვ. 134).

ბაქრაძის ამგვარი ფორმულის მიხედვით, ლენინის ადგილი საბჭოთა სისტემაში შეუცვლელია და იცვლება მხოლოდ მოციქულის ადგილი, ამ შემთხვევაში მისი მოციქული სტალინია, ამიტომ საჭიროა მისი პროპაგანდაც, თუმცა, ლენინზე წინ მისი დაყენება არ შეიძლება, სწორედ ამ წესს მისდევს ურნალი „მნათობიც“ .

ბურჟუაზიის კრიტიკა

ურნალი „მნათობი“ ხელს უწყობს საბჭოთა კავშირს ბურჟუაზიის წინააღმდეგ გამართულ იდეოლოგიურ ბრძოლაშიც. „მნათობში“ ბურჟუაზიული ქვეყნები საბჭოთა ქვეყნებისგან ბევრად ჩამორჩენილ და უკულტურო ქვეყნებადაა წარმოჩენილი, ამას მოწმობს ფილიპე მახარაძის სიტყვები, რომლებიც გამოქვეყნდა 1926 წლის მეორე ნომერში, რომლის მიხედვითაც საბჭოთა ქვეყნებში თანასწორობის საკითხები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, განსხვავებით ბურჟუაზიული ქვეყნებისგან, სადაც ქალი და კაცი ჯერ კიდევ არ არიან თანასწორნი.

აღსანიშნავია, რომ ურნალში რელიგია და რწმენა მუდმივადაა დაკავშირებული ბურჟუაზიულ დასავლეთთან, რომელიც დახასიათებულია უარყოფითად და „ქვეყნის დამღუპველ ძალად“, ხოლო რელიგია ბურჟუაზიული დასავლეთის ახირებად.

ურნალში ბურჟუაზიის დახასიათებისას ვაწყდებით ისეთ ეპითეტებს, როგორებიცაა: „მჩაგვრელი“, „სისხლისმსმელი“, „უსამართლო“, „კაცობრიობის მტანჯველი“ და სხვ.

პირველი რესპუბლიკის კრიტიკა

ურნალში იბეჭდებოდა მასალები, რომლებშიც გაკრიტიკებული იყო საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობა. ისევე, როგორც საბჭოთა ხელისუფლება, თავად ურნალიც ცდილობდა, რომ მათგან მტრის ხატი შეეჭმნა და საზოგადოებაში მათ მიმართ არსებული ნდობა შეერყია. ურნალი აქვეყნებდა პუბლიკაციებს, სადაც მენშევიკები მოხსენიებულნი იყვნენ, როგორც „ბურჟუაზიის მოციქულები“, „ქვეწარმავლები“, „ვერსალელი ჯალათები“, რომელთაც „დაცემისა“ და „უკანსვლის კულტურა“ გააჩნდათ.

ურნალ „მნათობში“ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა ნაჩვენებია, როგორც მოჩვენებითი მოვლენა, რომლითაც ქართველ ხალხს მენშევიკებმა თვალი აუხვიეს, დააჯერეს, რომ საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, რეალურად კი, ეს იყო მენშევიზმის ხალხზე ბატონობის ხანა. ამგვარი სტრატეგიით ურნალი „მნათობი“ წარსულის გადაფასებას და ახალი რეალობის პროპაგანდას ისახავდა მიზნად, ამას მონშობს ურნალში გამოქვეყნებული ციტატა: „ქართველმა ხალხმა გასაბჭოებით თავდაპირველად იგრძნო: თითქო მან დაჰკარგა ის მოჩვენებითი სახელმწიფოებრივი „დამოუკიდებლობა“, რომელიც რუსეთის პროლეტარულ რევოლუციის პროცესში საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ მოუტანა მას“ („მნათობი“, რაჟდენ კალაძე - „ქართული მხატვრული ლიტერატურის ეხლანდელი ვითარება“, 1926წ, N10-11, გვ.159).

იმას, რომ ურნალი სავსებით იზიარებდა კომუნისტური პარტიის იდეოლოგიას და უარყოფითად იყო განწყობილი მენშევიკების მიმართ, მონშობს მენშევიზმის დასახასიათებლად ურნალში გამოქვეყნებული შემდეგი სიტყვები: „მენშევიზმი კულტურაა დაცემის, უკანსვლის, კულტურულ ძალების განადგურების“ („მნათობი“, 1929 წ, N2-3, გვ.171).

ოქტომბრის რევოლუცია, როგორც პანაცეა

„მნათობში“ ოქტომბრის რევოლუცია „დაჩაგრული ერებისთვის“ მოვლენილ ხსნად არის წარმოჩენილი. ურნალი მუდმივად აქვეყნებს იმგვარ მასალებს, სადაც ერთი მხრივ ოქტომბრის რევოლუციაა გაპიარებული, ხოლო მეორე მხრივ, გადამწყვეტი და მასშტაბური რევოლუციისთვის მზადდება ნიადაგი, რათა მთელს მსოფლიოში დამყარდეს პროლეტარიატის დიქტატურა. ამგვარი მასალების გამოქვეყნებით, იგი ხელს უწყობს კომუნისტური პარტიის გავლენების ზრდას და ემსახურება მის პოპულარიზაციას.

ფ. მახარაძის ნააზრევი - „რუსეთის რევოლუცია და ლენინი“ ცალსახად ბოლშევიკური ნარატივის გამტარებელი რომაა, ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ მასალაში ავტორი რევოლუციის მნიშვნელობაზე წერს, რომ იგი აუცილებელია, რადგან მას შეუძლია მასების გამოღვიძება და მათი გაერთიანება, ბოლშევიკების ამოცანაც სწორედ ესაა, თუ საჭირო გახდა, უხელმძღვანელოს რევოლუციას და გამოიყენოს ეს მდგომარეობა („მნათობი“, 1924, N1).

რევოლუციას და მის მნიშვნელობას მუდმივად მალლა აყენებს ურნალი „მნათობი“, წარმოაჩენს მას ქვეყნიერების მხსნელად, გარდაუვალ მოვლენად, რომლის წინააღმდეგ წასვლა სიკვთეს არავის მოუტანს, ეს კარგად ჩანს ვალია ბახტაძის სიტყვებში: „რევოლუციისგან „კურთხეულია“ ის ტყვია, რომლითაც განიგმირება გული იმ მთავარსარდლისა, რომელიც რევოლუციის წინააღმდეგ მიმართულ ძალებს ხელმძღვანელობს“ („მნათობი“, 1925 წ, N8-9, გვ.213-232).

ოქტომბრის რევოლუცია უურნალ „მნათობში“ წარმოჩენილია, როგორც „სოციალური დემონსტრაცია ისტორიულად დაავადებული ცივილიზაციისა“ (1927 წ, N10, გვ.128).

იმას, თუ რამდენად დიდ როლს ანიჭებს უურნალი ოქტომბრის რევოლუციას, მონშობს მასზე გამოქვეყნებული პუბლიკაციების სიმრავლე და განწყობები, რომლითაც ეს პუბლიკაციები დაინერა, იგი მთლიანად დადებით კონტექსტშია განხილული. უურნალ „მნათობის“ 1927 წლის მე-10 ნომერი მთლიანად ოქტომბრის რევოლუციის მე-10 წლისთავსა და მის მიღწევებს მიეძღვნა. საქართველოს ისტორიის 25 თებერვალი გაიგივებულია 25 ოქტომბერთან, როგორც ვკითხულობთ, „ეს ის დატაა, საიდანაც იწყება ქართველი მშრომელი ხალხის ახალი ისტორია“ („მნათობი“, გ.ს-ლი „საქართველოს ოქტომბერი“, 1928წ, N2, გვ.217).

კომუნიზმისა და კომუნისტების აპოლოგია

უურნალი „მნათობი“ აქტიურად უთმობდა ადგილს მუშათა პარტიის პროპაგანდას, ხაზს უსვამდა მათ მიღწევებს, ბეჭდავდა მასალებს ცალკეული პიროვნებების შესახებ, რომლებიც აქტიურად უწყობდნენ ხელს პარტიის განმტკიცებას. ამით უურნალი ცდილობდა ეჩვენებინა, თუ როგორი განსაკუთრებული ნიჭისა და უნარების ადამიანები უჭერდნენ მხარს პარტიას და რა სიკეთე მოჰქონდა თავად პარტიას ქვეყნისთვის, რასაც ადასტურებს უურნალში გამოქვეყნებული არაერთი პუბლიკაცია. ერთ-ერთ მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ნ.კიკნაძის წერილი „მუშათა პარტიის“ მთავრობა ინგლისში“, სადაც მუშათა პარტიის როლზე, მის მიღწევებზე, ამ პარტიის განსაკუთრებულობაზეა ყურადღება გამახვილებული. წერილის ავტორი იმედოვნებს, რომ იმ რთულ ეკონომიკურ თუ სოციალურ მდგომარეობას, რაც ინგლისში წარმოიშვა, მუშათა პარტია აუცილებლად გადაჭრის მუშათა კლასის სურვილებისა და ინტერესების გათვალისწინებით, როგორც ეს მან არაერთ ქვეყანაში მოახერხა („მნათობი“, 1924 წ).

მთელს უურნალს გასდევს ის აზრი, რომ კომუნისტური საბჭოთა ადამიანი ყველასგან გამორჩეული და განსაკუთრებულია, როგორც ამას პარტია ქადაგებდა, ამიტომაც აქვეყნებს ცნობებს ცნობილი საბჭოთა ადამიანების, საბჭოთა მარქსისტების შესახებ. მათ პროპაგანდას არაერთი წერილი მიეძღვნა, მათ შორის, ლევ ტროცკისაც. ავტორები ლევ ტროცკის ახასიათებენ, როგორც განსაკუთრებული ნიჭისა და უნარების მქონე პერსონას, რომელსაც ჭკუა, „ცეცხლოვანი ტემპერამენტი“, განსაკუთრებული მეტყველება, დროის მენეჯმენტის უნარი და გონებაგახსნილობა ახასიათებს, მათი შენიშვნით კი, ამ ყველაფერში მთავარი ის არის, რომ ასეთი ადამიანი შვა კომუნისტურმა რევოლუციამ.

ეროვნული საკითხი უურნალ „მნათობში“

უურნალი ხელს უწყობდა საბჭოთა ხელისუფლებას, რომ გარუსების პოლიტიკა ეწარმოებინა და ეროვნული სულისკვეთება მეტ-ნაკლებად ჩაეხშო, რაც გამოიხატებოდა პუბლიკაციებში რუსეთის კულტურისა და მიღწევების წინ წამოწევაში. იგი დიდ ადგილს უთმობდა რუსეთის პროპაგანდას, „ყველასთვის გასაგებ ენად“ იყო აღქმული რუსული ენა. იბეჭდებოდა წერილები, სადაც

ცირკულირებდა შემდეგი სიტყვები: „რუსი ხალხი“, „რუსი ერი“, „რუსეთის რევოლუცია“, „რუსული მწერლობა“, „რუსული თეატრი“ და ა.შ.

უურნალი ქადაგებდა რუსულ შოვინიზმს, რუსეთის რევოლუციას წარმოაჩენდა კაცობრიობის მხსნელად. რუსი ერი, კომუნისტები და კომუნისტური პარტია იყვნენ ყველაზე მართალ, ყველაზე გაბედულად და ყველასგან განსხვავებულად წარმოჩენილნი. უურნალი ასევე არ იშურებდა ქება-დიდებას იმ ადამიანების, უურნალ-გაზეთების მისამართით, რომლებიც პარტიის აპოლოგიას ეწეოდნენ, განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს, უურნალ-გაზეთებსა და ნაწარმოებებს კი პირიქით - აკრიტიკებდნენ და ლანძღვასაც არ ერიდებოდნენ.

ინდივიდუალიზმის აღმოფხვრას საბჭოთა იდეოლოგია ყველა გზით ცდილობდა, გასაკვირი არ არის, რომ იყენებდა მწერლობასაც. უურნალში დაიბეჭდა რაჟდენ კალაძის მოწოდება პროლეტარი მწერლების მისამართით, რომ ქართული კლასიკური მწერლობისგან ამოეღოთ ეროვნული იდეა, ამის პასუხად „მნათობის“ რედაქციამ გამოაქვეყნა წერილი, სადაც ეწერა: „აზრს, რომ ... ქართული პროლეტარულ მწერლობისთვის აუცილებელია კლასიკური ქართული მწერლობის ის ნაწილი, რომლის შინაარსს შეადგენს ეროვნული იდეა - არ ვიზიარებთ სრულებით“ („მნათობი“, 1928 წ, N8-9, გვ.183). სწორედ ამ წერილით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, თუ რა პოლიტიკური იდეოლოგიის გამტარებელი იყო უურნალი „მნათობი“, იგი ამ მომენტიდან მთლიანად ჩაერთო ეროვნული ღირებულებებისა და ქართველი ერის გადაგვარების საქმეში.

უურნალ „მნათობში“ ასევე იბეჭდებოდა მოწოდებები, რომელთა მიხედვითაც, ეროვნული და ნაციონალური ელემენტები საბჭოთა კავშირის მასშტაბით უნდა გამქრალიყო. მიხ. კახიანი ქართულ პროლეტკულტმწერლობას ნაციონალიზმის ელემენტებს უწუნებდა, მოუწოდებდა მათ, რომ ეროვნულ კულტურაზე ლაპარაკის დროს, ესაუბრათ მუშებისა და გლეხების კულტურაზე, რადგან საბჭოთა კავშირში კულტურის არსი ამგვარად იყო გაგებული.

განსხვავებული აზრი უურნალ „მნათობში“

უურნალი, მიუხედავად მისი პოლიტიკური კეთილგანწყობისა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, არსებობის პირველ წლებში (1924-1926 წწ), მაინც ახერხებდა განსხვავებული მოსაზრებები დაებეჭდა, თუმცა, პარტიის წნეხი იმდენად დიდი იყო, რომ ყველა მასალას, რომელიც შეიცავდა რეჟიმისთვის მიუღებელ მოსაზრებებს, თან ერთვოდა რედაქციისგან განმარტება, რომ უურნალის რედაქცია ავტორს არ ეთანხმებოდა. უურნალი ცდილობდა, განსხვავებული მოსაზრებები სხვა ავტორების ნააზრევით გადაეფარა, გაებათილებინა კრიტიკა.

უურნალის ფურცლებზე მოხვდა კომუნისტური პარტიის მიმართ არცისე კეთილგანწყობილი წერილები. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს სეით დევდარიანის წერილი „ეს პასუხი არ არის“. აღსანიშნავია, რომ წერილს თან ახლავს განმარტება რედაქციისგან, სადაც წერია, რომ რედაქცია მთელ რიგ საკითხებში არ ეთანხმება ავტორს და ემიჯნება მის პოზიციას, თუმცა, მაინც საჭიროდ თვლის, რომ წერილი გამოქვეყნდეს.

სეით დევდარიანის წერილი „ეს პასუხი არ არის“, იწყება დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მთავრობის კრიტიკით. წერილი ნოე ჟორდანიას მისამართითაა დაწერილი. ავტორი აკრიტიკებს

ჟორდანის მთავრობას, რომელმაც დატოვა ქართველი ხალხი ბედის ანაბარა და უცხოეთში წავიდა. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის კრიტიკის გარდა, წერილში იკითხება კომუნისტური პარტიის მიმართ უკმაყოფილება. მთავარი შეცდომა, რასაც საქართველოს ხელისუფლება მუდმივად უშვებდა, იყო მხსნელის გარეთ ძებნა, რუსეთთან მიკედლება, რამაც საბოლოოდ საბჭოთა დიქტატურის დამყარება გამოიწვია.

ავტორის აზრით, საბჭოთა ხელისუფლების ჩამოგდება საკმაოდ რთული იქნება, თუმცა, მისი გაუმჯობესება, შესაძლებელი. დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მთავრობა მაშინ შეცდა, როცა „მხსნელს“ ქვეყნის გარეთ დაუნყო ძებნა და ხალხსაც ჩაუსახა იმედი „მხსნელის“ გამოჩენის, ამასობაში კი რუსეთმა იმდენად გაიდგა ფეხი საქართველოში, რომ მისგან ჩამოშორება საკმაოდ რთული იქნება, ხოლო ვინც ამ საქმეში ჩვენს დახმარებას მოისურვებს „ მე მგონია, რომ ამისთანა „მფარველი“ ისე ჩავვიხუტებს გულში, რომ სუნთქვა გაგვიჩერდება“ („მნათობი“, N4, გვ. 290), - წერს ავტორი.

სეით დევდარიანი მოუწოდებს ნოე ჟორდანისას, რომ დაბრუნდეს თავის ჯგუფთან ერთად საქართველოში, ჩამოშორდეს ბურჟუაზიას და ითანამშრომლოს მუშათა კლასთან, რადგან იმ მდგომარეობიდან გამოსვლა, რა მდგომარეობაშიც ბოლშევიკებმა ჩაადგეს ქვეყანა, მხოლოდ მათთან თანამშრომლობითაა შესაძლებელი, რათა „იპოვნოს უტყუარი გზა იმ „საქაჭეთისკენ“, სადაც იმყოფება მშვენიერი ნესტან-დარეჯანი, ეს უკვდავი სიმბოლო საქართველოს აღორძინების“ (გვ. 296). მიუხედავად ურნალის კეთილგანწყობისა კომუნიზმის მიმართ, ურნალში მაინც იბეჭდება ისეთი მასალები, რომლებიც მართალია მცირე რაოდენობით, თუმცა, მაინც შეიცავენ კომუნიზმის კრიტიკას. ამ მხრივ საინტერესოა სეით დევდარიანის წერილი „ოქტომბერი და ინტელიგენცია“, სადაც ავტორი საუბრობს, რომ საბჭოთა ძალაუფლება პირველ წლებში ქართველ ინტელიგენციას, მეცნიერებს და ხელოვნებას არათუ ხელს უშლიდა, პირიქით, ხელს უწყობდა კიდევ მათ, თუმცა სურათი შეიცვალა, საბჭოთა რეჟიმმა გადაწყვიტა, რომ მწერლობა კალაპოტში მოექცია, მის პროპაგანდისტად დაესვა. ავტორი აკრიტიკებს საბჭოთა სისტემის ამგვარ მიდგომას, მისი აზრით, იქ, სადაც მწერლობა პოლიტიკაში ირევა, ნამდვილი მწერლობა აღარ არსებობს, ავტორი წერს: „მუშათა-გლეხთა დიქტატურის სიტყვა უნდა იყოს:

მიეცით ნიჭსა გზა ფართო

თაყვანისცემა ღირსებას,

ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს,

და არა გვარიშვილობას.

და როცა ეს სიტყვა საქმედ გადაიქცევა, მაშინ ოქტომბერს ჩამოერთმევა ინტელიგენციის ხელი და ინტელიგენციას ხელს ჩამოართმევს ოქტომბერი“ („მნათობი“, 1924წ, N6, გვ.236).

ურნალში კიდევ გვხვდება განსხვავებული მოსაზრება, მაგალითად, Stahl-ის სახელით ბიბლიოგრაფიაში გამოქვეყნებული რეცენზია „პროლეტარული მწერლობა“, ეხება ამავე სახელწოდების ურნალს, რომელსაც ავტორი დიდი მონდომებითა და ყოველგვარი შეფარვის გარეშე აკრიტიკებს. ამ რეცენზიას ნომრის ბოლოს ეხმიანება ურნალის რედაქცია და წერს, რომ იგი სარედაქციო კოლეგიის მიერ განუხილველად დაიბეჭდა, რედაქცია კი ავტორის მოსაზრებებს არ

ეთანხმება („მნათობი“, 1928 წ, N3). რედაქციის ამგვარი განმარტება გვაფიქრებინებს, რომ ურნალის ხელმძღვანელებს არ სურთ ბოლშევიკურ პარტიასთან ურთიერთობის დაძაბვა და საჭიროდ თვლიან ამგვარი განცხადებებით თავი დაიზღვიონ.

მიუხედავად იმისა, რომ რუსული ენის გავლენები დღითიდღე იზრდებოდა, ამ წნეხისა და დაძაბულობის დროს, ურნალი მაინც ახერხებდა, რომ ქართული ენის მნიშვნელობასა და მისი განვითარების ეტაპებზე გაემახვილებინა ყურადღება, მკითხველისთვის უკეთ გაეცნო მშობლიური ენა. ამ მიზნით ურნალში იბეჭდებოდა სტატიები, მათ შორის, ს.გორგაძის „ახალი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან“ („მნათობი“, 1926).

ურნალ „მნათობის“ 1925 წლის მეორე ნომერში ასევე დაიბეჭდა კრიტიკა რუსეთის მისამართით, რაც, რა თქმა უნდა, მიუღებელი იყო ბოლშევიკური პარტიისთვის, თუმცა, მასალაში რუსეთი წარმოჩენილია, როგორც ევროპა. ლეონ მელიქსეთ-ბეგის წერილში „ახალი პრობლემა საქართველოს ისტორიაში“ იკითხება ევროპული, კერძოდ კი, რუსული ღირებულებებისადმი კრიტიკა, სადაც ავტორი წერს, რომ სახიფათოა ყველაფრის თვალდახუჭულად აღიარება, რაც კი ევროპაში ითქმება ჩვენი წარსულის შესახებ. „ერთხელ მოხდა, რომ დედამიწის სხვა ნაწილებს ევროპამ წინ გაუსწრო. მაშასადამე, ევროპა ყველაფრის მაგალითი უნდა იყოს და რაც ევროპაში ითქმის, ის სრულიად უდავოდ და შეურყეველ ჭეშმარიტებად უნდა აღვიაროთ; ევროპა ერთგვარი მარკაა, რომლითაც უნდა ვზომოთ და ვჭრათ კიდევ სულყველაფერი“ („მნათობი“, 1925წ, N2, გვ. 214), - წერს პუბლიცისტი, რომელიც მიანიშნებს მკითხველს, რომ ყველაფრის თვალდახუჭულად მიღება არცისე სახარბიელო იქნება ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის.

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ურნალი „მნათობი“ აქტიურად ეწეოდა საბჭოთა ხელისუფლების პროპაგანდას და ეხმარებოდა მას საკუთარი ძალების განმტკიცებაში, თუმცა, იმ დროს, როცა სისტემა ყველას და ყველაფერს აკვირდებოდა, არ იყო მარტივი განსხვავებული აზრის დაბეჭდვა, რასაც ურნალი „მნათობი“, მართალია მცირე დოზით, თუმცა, მაინც ახერხებდა.

დასკვნა

კვლევამ პასუხი გასცა ყველა საკვლევ კითხვას.

- ურნალი „მნათობი“ საკუთარ ფურცლებზე ადგილს უთმობს მასალებს, რომლებიც იყოფა შემდეგ თემატურ ჯგუფებად: მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდა, ათეისტური გზავნილები, საქართველოს პირველი მთავრობის კრიტიკა, რუსეთის რევოლუციის პროპაგანდა, კომუნისტებისა და კომუნისტური პარტიის აპოლოგია, პროლეტარული კულტურის იდეოლოგია..
- ურნალ „მნათობის“ ენა შეზღუდულია საბჭოურ ენასთან. ურნალი დამკვიდრებული ენობრივი კლიშეებით ცდილობს არსებობის შენარჩუნებას.

- უურნალი „მნათობი“ საბჭოთა კლიშეების გავლენის ქვეშაა მოქცეული. იგი ხელს უწყობს რეჟიმის მიერ დამკვიდრებული ლინგვისტური ერთეულებისა და იდიომური გამოთქმების გავრცელებას და ამით ეხმარება საბჭოთა იდეოლოგიას საკუთარი ინტერესების გატარებაში.
- უურნალი „მნათობი“ არსებობის პირველ წლებში მაინც ახერხებს, რომ დაბეჭდოს განსხვავებული მოსაზრებები და თავის ფურცლებზე ადგილი დაუთმოს იმდროინდელ ავტორებს, თუმცა, ყველა მასალას, რომელიც შეიცავს საბჭოთა იდეოლოგიისგან განსხვავებულ აზრს, თან ახლავს რედაქციის წერილი, რომ იგი არ ეთანხმება წერილში გამოთქმულ მოსაზრებებს.

რაც შეეხება კვლევის დასაწყისში წამოყენებულ ჰიპოთეზებს: მართალია, საკვლევი პერიოდის უურნალი „მნათობი“ ნამდვილად გვევლინება საბჭოთა იდეოლოგიის პოპულარიზატორად და პარტიას ეხმარება საბჭოთა იდეოლოგიური კლიშეების გავრცელებაში, მაგრამ მისი არსებობის პირველ წლებში, მიუხედავად საბჭოური წნეხისა, მაინც ცდილობს პროლეტკულტელთა იდეოლოგიისგან განსხვავებული მოსაზრებების დაბეჭდვას. ამას უურნალი ახერხებს ლიტერატურული პროდუქციის, ქართველი მწერლების თხზულებათა პუბლიკაციით.

ცხადია, წმინდა უურნალისტური პუბლიკაციები სრულად იდენტური იყო პრესის მიმართ ბოლშევიკური რეჟიმის მიერ დანსებული მოთხოვნებისა. უურნალისტს სხვა გზა არც აქვს, იგი თანამედროვეობის მემკვიდრედ უნდა მოგვევლინოს და ასახოს ის, რაც მის ირგვლივ ხდება. სხვაგვარადაა საქმე მხატვრულ ტექსტებში. მათი შერჩევით სარედაქციო ჩანაფიქრიც ვლინდება, რადგან შერჩევა თავისთავად პოზიციის გამოვლინებაა. ასე რომ, „მნათობში“ დასტამბულ მხატვრულ ნაწარმოებებში ქვეტექსტურად გაცხადებული ეროვნული ფასეულობებისა და ჰუმანური იდეალებისადმი ერთგულების სურვილი უურნალის მესვეურთა მხრიდან ქართველი მკითხველისთვის ნუგეშისმომგვრელ მინიმუმად უნდა მივიჩნიოთ იმ ავბედით დროში.

ბიბლიოგრაფია

- DeFluer, M. L. (1996). *Theories of Mass Communications*. New York.
- SIEBERT, F. S. (1984). *Four Theories of the Press: The Authoritarian, Libertarian, Social Responsibility, and Soviet Communist Concepts of What the Press Should Be and Do*. University of Illinois Press, <https://doi.org/10.5406/j.ctv1nhr0v>.
- ბაქრაძე, ა. (2019). *მწერლობის მოთვინიერება*. თბილისი: გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი.
- გაფრინდაშვილი, ნ. (2014). სოცრეალიზმის ეპოქის ქართული სალიტერატურო ცხოვრება ლიტერატურული კომპერატივისტიკის თვალსაზრისით. *სპეკალი*, №8.
- ვიქტორ გუჩუა, შ. მ. (1983). *საქართველოს ისტორია (VII-X კლასების სახელმძღვანელო), მეოთხედივე გამოცემა*. თბილისი: გამომცემლობა "განათლება".
- კობიაშვილი, მ. (2019). *პროლეტარული ნარატივი ქართულ მწერლობაში (1921-1940)*. თბილისი: სადოქტორო ნაშრომი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლა, სამეცნიერო ხელმძღვანელი ნინო მინდიაშვილი.
- კუპრეიშვილი, ნ. (2020). *"სალიტერატურო პერიოდიკა" წიგნში: XX საუკუნის ქართული ლიტერატურა*, ნაწილი II. თბილისი: თსუ გამომცემლობის სტამბა.
- მამარდაშვილი, მ. (1992). *"ჩახშული ფიქრი", საუბრები ანი ეპელბუანთან*. თბილისი: გამომცემლობა "ჩელმი".
- ნ. ტაბიძე, შ. გ. (1975). *საბჭოთა ურნალისტიკის თეორია და პრაქტიკა (დამტკიცებულია სახელმძღვანელოდ სტუდენტებისთვის)*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- პაპუაშვილი, ნ. (2018). *საბჭოეთი და რელიგია*. თბილისი: ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI).
- სიგუა, ს. (2002). *ქართული მოდერნიზმი*. თბილისი: გამომცემლობა "დიდოსტატი".
- ტაბიძე, მ. (2012). ფარული და ღია ენობრივი დაგვემვის თავისებურებანი XIX-XX საუკუნეების საქართველოში. *სპეკალი*, №5.
- შამილიშვილი, მ. (2021). *მეოცე საუკუნის 20-40-იანი წლების ქართული საბჭოური პრესის ძირითადი ტენდენციები წიგნში: XX საუკუნის ქართული ლიტერატურა, ნაწილი III*. თბილისი.
- ძაძამია, მ. (1976). *ურნალი "მნათობი" (1869-1872 წწ.), დაარსების ისტორია. ურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები, V ტ*. თბილისი: პროფესორ დავით გამეზარდაშვილის რედაქციით.
- ჯოლოგუა, თ. (2013). *ქართული ურნალისტიკის ისტორია (XIX საუკუნე)*. თბილისი: გამომცემლობა "არტანუჯი".